

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს  
გადაწყვეტილება №225  
(ოქმი №206)

თბილისი

2012 წლის 20 თებერვალი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების  
აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო დამოუკიდებელი აუდიტორის  
დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების  
აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო დამოუკიდებელი აუდიტორის  
დანიშვნასთან დაკავშირებით, გამოცხადდეს კონკურსი წინამდებარე  
გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად. განცხადება კონკურსის  
გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-  
გვერდზე და გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში".

დანართი: განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ლევან გახელაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

მამუკა ფაჩუაშვილი

ნოდარ სარჯველაძე

დავით კანდელაკი

ემზარ გოგუაძე

ზურაბ დავითაშვილი

ავთანდილ ანთიძე

ოთარ კობერიძე

ნინო დანელია

ბაკურ სულაკაური

ეკა მაზმიშვილი

გიგა ნასარიძე

გიორგი მელაძე

## განცხადება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2011 წლის ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე  
კონკურსის გამოცხადების შესახებ

### ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაზე.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად, 2012 წლის 15 აპრილამდე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68)

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- აუდიტორული კომპანიის მსხვილ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილება, სასურველია ტელურადიო-მაუწყებლობის სფეროში.
- აუდიტის პროცესში მონაწილე აუდიტორთა თანამდებობა და კვალიფიკაციის დონე.
- აუდიტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 10 000 (ათი ათასი) ლარს დ.დ.გ-ს ჩათვლით.
- აუდიტორული კომპანიის წერილი, რომ მას გათვითცნობიერებული აქვს შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი.

### წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

გთხოვთ, თქვენი წინადადებები წარმოგვიდგინოთ 2012 წლის 9 მარტის 16:00 საათამდე, სადაც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 2012 წლის 16 მარტამდე გამოავლენს გამარჯვებულს.

### საკონტაქტო ინფორმაცია

კითხვების წარმოშობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირებს:

ნათია ზამთარაძე – სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ლოგისტიკის სამსახურის უფროსი ტელ: (995 32) 409 145

არჩილ კუბლაშვილი - სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ფინანსური დეპარტამენტის უფროსი ტელ: (995 32) 409 244

ლევან გახელაძე  
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“  
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

